პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 150 (4144)

1970 წ. 2 აგვისტო, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# გეგმები და შესრულება

რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებებისა და ფიზკულტურის კომიტეტების მიერ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებისა და სსრ კავშირის სპორტის ოსტატების მომზადების გეგმების შესრულების მდგომარეობა 1 აგვისტოსთვის ასეთია:

| | საერთაშ. კლასის ოსტატი გ. | საერთაშ. კლასის ოსტატი შ. | სპორტის ოსტატი გ. | სპორტის ოსტატი შ. |
|---|---|---|---|---|
| „ბურევესტნიკი" (თავმჯდომარე გ. ცქიტიშვილი) | 8 | 0 | 50 | 11 |
| „განთიადი" (თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე) | 2 | 1 | 80 | 15 |
| „დინამო" (თავმჯდომარის მოადგილე ვ. დიდიძე) | 8 | 0 | 35 | 16 |
| „ვოდნიკი" (თავმჯდომარე ვ. იორაიშვილი) | — | — | 3 | 0 |
| „კოლმეურნე" (თავმჯდომარე ვ. ჟღენტი) | 1 | 0 | 25 | 16 |
| „ლოკომოტივი" (თავმჯდომარე თ. კაჭახიძე) | 0 | 1 | 17 | 3 |
| თბილისის ასკ (უფროსი ა. კუხიანიძე) | 1 | 0 | 27 | 15 |
| „სპარტაკი" (თავმჯდომარე ა. კორინთელი) | 0 | 1 | 25 | 5 |
| „შრ. რეზერვები" (თავმჯდ. მოადგ. ს. მეგრელიშვილი) | — | — | 8 | 2 |
| სულ | 10 | 3 | 220 | 83 |
| აფხაზეთი (თავმჯდომარე ჯ. გუბაზი) | 1 | 0 | 20 | 4 |
| აჭარა (ზ. მამუჭაძე) | 1 | 0 | 18 | 8 |
| სამხრეთ ოსეთი (ა. თედეევი) | 0 | 0 | 4 | 6 |
| თბილისი (გ. შარაშიძე) | 7 | 8 | 120 | 48 |
| ქუთაისი (ლ. ახვლედიანი) | 1 | 0 | 20 | 5 |
| ფოთი (ბ. გოგიჩაიშვილი) | — | — | 2 | 1 |
| ჭიათურა (ზ. ბარათაშვილი) | — | — | 1 | 0 |
| რუსთავი (ო. ჯებაშვილი) | — | — | 5 | 3 |
| გორი (გ. მეყანწიშვილი) | — | — | 5 | 2 |
| ტყიბული (ვ. ოქრუაძე) | — | — | 1 | 1 |
| ზუგდიდი (გ. ლოგუა) | — | — | 1 | 0 |
| ახალციხის რაიონი (ქ. გოგოლაძე) | — | — | 1 | 0 |
| ბორჯომის რაიონი (ა. გელაშვილი) | — | — | 1 | 1 |
| გარდაბნის რაიონი (ვ. ნუცუბიძე) | — | — | 3 | 2 |
| გორის რაიონი (ა. ცხოვრებაძე) | — | — | 1 | 0 |
| გურჯაანის რაიონი (ა. ჭუჭულაშვილი) | — | — | 1 | 0 |
| ვანის რაიონი (ლ. ბუბაშვილი) | — | — | 1 | 0 |
| ზესტაფონის რაიონი (კ. ბაზაძე) | — | — | 1 | 0 |
| ზუგდიდის რაიონი (კ. ხორავა) | — | — | 1 | 1 |
| კასპის რაიონი (გ. კიკაჩეიშვილი) | — | — | 1 | 1 |
| ლანჩხუთის რაიონი (გ. წილოსანი) | — | — | 1 | 0 |
| მახარაძის რაიონი (ო. კიშინსკი) | — | — | 1 | 1 |
| მესტიის რაიონი (ნ. გვარლიანი) | — | — | 1 | 0 |
| მცხეთის რაიონი (ფ. ხუროშვილი) | — | — | 3 | 0 |
| ონის რაიონი (შ. ქოჩლაძე) | — | — | 1 | 1 |
| საგარეჯოს რაიონი (ვ. ქაიხოსროშვილი) | — | — | 1 | 0 |
| სამტრედიის რაიონი (გ. კალაძე) | — | — | 1 | 1 |
| თელავის რაიონი (ვ. სახიევი) | — | — | 1 | 0 |
| ხაშურის რაიონი (კ. ხვედელიანი) | — | — | 1 | 1 |
| წულუკიძის რაიონი (ა. ჟუჟარაძე) | — | — | 1 | 0 |
| ცხაკაიას რაიონი (შ. ჩიქობავა) | — | — | 0 | 1 |
| სულ | 10 | 3 | 220 | 83 |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გ. — გეგმა, შ. — შესრულება.

## საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

31 ივლისს გაიმართა საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა ამხანაგი შ. დ. კიკნაძე გაათავისუფლა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისგან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

პლენუმმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ და პრეზიდიუმის წევრად აირჩია ამხანაგი თ. ი. მოსაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. პ. ა. როდიონოვი.

(საქინფორმი).

## 20 45

◆ ამსტერდამი, 1 აგვისტო. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის — „იბმ" — დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა, მაგრამ ახლავე შეიძლება წარმატება მივულოცოთ დიდოსტატ ვ. ულმანს (გდრ), რომელმაც III ადგილი გაინაღდა. მან ვადამდე ითამაშა თავისი ბოლო პარტია და 10,5 ქულით (15-დან) მივიდა ფინიშთან. საბჭოთა დიდოსტატ ე. გელერს 9 ქულა აქვს 14-დან და მოგების შემთხვევაშიც ვერ დაეწევა ულმანს. ლიდერობას ინარჩუნებს საბჭოთა დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი — 11 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება მსოფლიო ჩემპიონი ბ. სპასკი.

◆ კაუნასი, 1 აგვისტო. მონადირეთა და მეთევზეთა სასროლეთზე უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს სსრ კავშირის მესტენდურეთა 31-ე ჩემპიონატი. ადგილიდან სროლაში არმიელებმა დამატებითი სერიის შემდეგ აჯობეს დინამოელებს და I ადგილი დაიკავეს — 751 ქულა 800-დან. არმიელები მრგვალ სტენდზეც საუკეთესონი იყვნენ — 770 ქულა 800-დან. ჩემპიონის სახელი შეინარჩუნა მოსკოველმა არმიელმა პ. სენიჩევმა, რომელმაც ადგილიდან სროლაში 193 ქულა მოაგროვა 200-დან. მრგვალ სტენდზე ოქროს მედალი პირველად მოიგო მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტმა ბ. ბულბამ („ლოკომოტივი") — 196 ქულა 200-დან. მან ქულით აჯობა ოლიმპიურ ჩემპიონს ე. პეტროვს. ქალთა შორის დონის როსტოველებმა ი. სიდოროვამ და ლ. კორჩინსკაიამ ოქროს „ტანდემი" შექმნეს: პირველმა ყველას აჯობა ადგილიდან (179 ქულა 200-დან), მეორემ — მრგვალ სტენდზე სროლაში — 192 ქულა 200-დან. თანაც, ეს შედეგი ახალი საკავშირო რეკორდია.

## ტელეტაიპით

ალუშტა, 1 აგვისტო. ცნობილმა ვოროშილოვგრადელმა ძალოსანმა ა. კიდიაევმა (ქვემძიმე წონა) აქ გამართულ საკონტროლო შეჯიბრებაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 183,5 კგ აჭიმა.

ვარშავა, 1 აგვისტო. 30-მეტრიან დისტანციაზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ვარშაველმა მშვილდოსანმა ხ. ბუეზინსკამ. პოლონეთის ჩემპიონატში ასპარეზობისას მან 336 ქულა დააგროვა, რაც 4 ქულით სჯობს ამერიკელი ნ. მაირიკის ძველ მიღწევას.



## ქალაქი სტრიქონები

### ზედ შავ ზღვასთან

ფოთი, 31 ივლისი (ტელეფონით). რიონის ნაპირზე დამთავრდა „ვოდნიკის" სანიჩბოსნო ბაზის მშენებლობა. იქვე ახლოს მდინარე მშვენიერ დისტანციას ქმნის აკადემიურ, აგრეთვე, ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში საასპარეზოდ.

უკვე წლეულს განზრახულია აქ ჩატარდეს საკავშირო რეგატა აკადემიურ ნიჩბოსნობაში.

## ტელეტაიპით

მინსკი, 31 ივლისი. სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში V საკავშირო სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრების პირველივე დღეს წყალქვეშ ცურვის ოსტატებმა 3 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. მოსკოველმა ა. კრიუკოვმა 400 მ ფარფლებით 3 წუთსა და 44,2 წამში გაცურა, ხოლო კრასნოიარსკელმა ტ. გონჩაროვამ იგივე მანძილი — 4 წუთსა და 12,8 წამში. მესამე რეკორდს დაეუფლა სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი ნადეჟდა ტურუკალო (უსტ-კამენოგორსკი), რომელმაც 25 მეტრზე ფარფლებით ზუსტად 10 წუთში ჩაყვინთა. წყალქვეშელთა ეს შეჯიბრება, ამავე დროს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატია. იგი 2 აგვისტომდე გასტანს.




საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სპორტსმენ-პარაშუტისტთა პირადგუნდური პირველობა ავიამუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და „სპარტაკის" ინიციატივით მოეწყო.

სამოქალაქო ავიაციის ეს საინტერესო შეჯიბრება სსრ კავშირში პირველად ჩატარდა. რამდენიმე დღისთვის გათვალისწინებულ პროგრამაში შედიოდა შეჯიბრება 1500 მ სიმაღლიდან განსაზღვრულ, 20-მეტრიან ზოლში დაშვების სიზუსტეზე ხტომაში, შეჯიბრება დაშვების სიზუსტეზე დაყოვნებით ხტომაში, ჯგუფური ხტომა იმავე სიმაღლიდან პარაშუტის 10, 7 და 5 წამის დაყოვნებით გახსნით (ვარჯიშში 3-3 კაცი მონაწილეობდა).

ასპარეზობის დაწყების წინ სოხუმის სამოქალაქო აეროდრომზე მონაწილეთა აღლუმი მოეწყო.

პირველ ვარჯიშში საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა, თბილისელმა ვ. ლუნიოვმა. იგი წრის ცენტრში 53 სმ გადახრით დაეშვა. ბრწყინვალე ნახტომი იყო! II ადგილი დაიკავა ქუთაისელმა პირველთანრიგოსანმა გ. შიშლოვმა (გადახრა — დაახლოებით 4 მ). მესამე იყო ამ უკანასკნელის თანაგუნდელი, ასევე პირველთანრიგოსანი ვ. გაჩეჩილაძე.

დაყოვნებით ხტომაში გაჩეჩილაძემ საუკეთესო შედეგი აჩვენა და რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. II ადგილზეა ლუნიოვი, III — სოხუმელი კ. ზაფიროვი.

ჯგუფურ ხტომაში საუკეთესო შედეგს მიაღწია თბილისის კარგად მომზადებულმა გუნდმა. პირველი (დაყოვნებით) ნახტომის შემდეგ პარაშუტი 10 წამში გაიხსნა. მეორე სპორტსმენმა პარაშუტი 7 წამში გახსნა, მესამემ — 5 წამში. დედაქალაქის გუნდი კარგად დაეშვა და ამ სახეობაში ჩემპიონი გახდა. II ადგილზე არიან ქუთაისელი, III — სოხუმელი პარაშუტისტები.

საერთო გუნდურ ჩათვლაშიც თბილისის კოლექტივი პირველობდა. მასვე გადაეცა გუნდური პრიზი — ბროლის ლარნაკი. II (ქუთაისი) და III (სოხუმი) ადგილებზე გასული სპორტსმენები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

• • •

საპარაშუტო სპორტის ოსტატები გ. კაჯარიანი (სოხუმი) და ნ. ბიკოვი (თბილისი) ორი დღის მანძილზე მაყურებლებს უჩვენებდნენ პარაშუტით დაყოვნებით ხტომას ზღვაში, სოხუმის საქალაქო აკვატორიუმის რაიონში. კაჯარიანისთვის ეს საიუბილეო — მე-1500 ნახტომი იყო. მას გულთბილად მიულოცეს ეს წარმატება მეგობრებმა, რომელთაც კარგ სპორტსმენს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

უნდა აღინიშნოს შეჯიბრების ჩინებული ორგანიზაცია, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მსაჯთა კოლეგიას.

ვ. სემიონოვი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: გ. კაჯარიანი კატარღაზე აჰყავთ.

ვტორის ფოტო.

## სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი



# 82:85



თბილისი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი. 31 ივლისი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — „კალევი" (ტარტუ) 82:85 (35:38).

„ბურევესტნიკი": ბიჭიაშვილი (22), გლურჯიძე (15), ჩხიკვაძე (15), პულავსკი (13), ნინიაშვილი (7), მაისურაძე (6), ჯულელი (2), ლიბრაძე (2), კახრაძე, ფირცხალაიშვილი.

„კალევი": ბროსმანი (17), სალუმეტსი (15), ლენციუსი (13), ლეპმეტსი (10), ტომსონი (9), ფილატოვი (6), ლიპსო (6), ა. ლილი (5), მეტსარი (2), ოლვესი (2).

მსაჯები: ე. სამოლიუბოვერი, ხ. კოპიტოვი (ორივე — კიევი).

ესტონელებმა თამაში მეორე შემადგენლობით დაიწყეს: სასტარტო ხუთეულში არ გამოსულან ტომსონი, ლიპსო, ლეპმეტსი. ამან უფლება მოგვცა გვეფიქრა, რომ სტუმრები ამჯერადაც არ იყვნენ განსაკუთრებით აგრესიულად განწყობილი და რომ ქულას მაინცდამაინც არ „გამოეკიდებოდნენ". მაგრამ, როგორც მატჩის მსვლელობამ ცხადყო, ჩვენი ვარაუდი მცდარი გამოდგა. ესტონელებმა ყველაფერი იღონეს გამარჯვების მისაღწევად. ყოველ შემთხვევაში, სულ მალე სასტარტო ხუთეულში ცვლილებები მოხდა და თამაშში თანდათან ძირითადი ძალები ჩაებნენ. „კალევმა" ბრძოლა მისთვის დამახასიათებელი სიბეჯითით წარმართა: ჯერ თავისი ფარის უსაფრთხოება უზრუნველყო, მერე მტკიცედ დაეუფლა ინიციატივას მეტოქის კალათის ქვეშ და უპირატესობის რეალიზაციას შეუდგა.

მაგრამ გამოირკვა ისიც, რომ მასპინძლებმა სიმაღლის კომპენსაციის ერთგვარ საშუალებას სისწრაფის ხარჯზე მიაგნეს და ამან თავისებური ეფექტიც გამოიღო. ერთი სიტყვით, მოედანზე გაჩაღდა მძაფრი ბრძოლა და დიდხანს ძნელი გამოსაცნობი იყო, ვის დარჩებოდა ბოლოს და ბოლოს გამარჯვება.

სტუმრებმა მაქსიმალურ სხვაობას მეორე ტაიმში მიაღწიეს, როცა 13 ქულით (60:47) დაწინაურდნენ, მაგრამ ეს უპირატესობა მხოლოდ წუთიერი გამოდგა. რამდენიმე სწრაფი შეტევითა და ზუსტი ტყორცნით „ბურევესტნიკმა" სხვაობა „ტრადიციულ" 6 ქულამდე დაიყვანა. მართალია, მატჩის ბოლო წუთებში მან კიდევ 3 ქულა მოიგო, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ „კალევი" გამარჯვებას არაფრით არ დათმობდა. ესტონელებმა შეხვედრის მსვლელობა ინერციით მიიყვანეს ხელსაყრელ ფინალამდე.

ნ. ბუბუშვილი.

სურათზე: ბურთი და კალათი...

ა. კოტორაშვილის ფოტო.

* * *

ალმა-ათა. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" დაამარცხა კიევის „სტროიტელი" — 112:103.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 32 | 29 | 3 | 2671—2231 | 29 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 33 | 25 | 8 | 2510—2204 | 25 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 31 | 21 | 10 | 2510—2295 | 21 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 33 | 21 | 12 | 2566—2494 | 21 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 33 | 21 | 12 | 2712—2580 | 21 |
| „კალევი" (ტარტუ) | 33 | 18 | 15 | 2696—2559 | 18 |
| „დინამო" (თბილისი) | 32 | 15 | 17 | 2515—2602 | 15 |
| ასკ (რიგა) | 33 | 11 | 22 | 2469—2642 | 11 |
| ასკ (კიევი) | 30 | 10 | 20 | 2150—2234 | 10 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 32 | 8 | 24 | 2318—2588 | 8 |
| „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) | 33 | 8 | 25 | 2463—2727 | 8 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 33 | 7 | 26 | 2448—2771 | 7 |

საკდესი მოგვითხრობს

[illegible]

## სპორტული კადრების ახალი სამჭედლო

ჩელიაბინსკში აიგო მრავალსართულიანი შენობა, სადაც ომსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის ახალი ფილიალი მოთავსდა. შემოდგომით აქ სწავლას დაიწყებს 250 კაცი.

ინსტიტუტი მოამზადებს მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ციგურაობის, სათხილამურო სპორტისა და სხვა სახეობების სპეციალისტებს. კურსდამთავრებულები სამხრეთ ურალის ქალაქებისა და სოფლების ფიზკულტურულ კოლექტივებში იმუშავებენ.

ზ. კოზდნიაკოვი.

ჩელიაბინსკი.

## ზაფხულში... თხილამურებით

ჩირელჩიკის ყინვარი კამჩატკელი სამთომოთხილამურეების ასპარეზობის ადგილად იქცა. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სპეციალურ სლალომში. გოგონათა შორის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გამარჯვება მოიპოვეს სპარტაკელებმა ქ. შემუკოვამ და გ. გრიშინამ. ჭაბუკებში ყველას აჯობეს ი. უტკინმა და ვ. შჩერბაკოვმა. მოზრდილთა ასპარეზობაში გაიმარჯვა პეტროპავლოვსკელმა ა. კონდიუკოვმა.

აგერ უკვე მესამე ზაფხულია ჩირელჩიკის მთის ძირას მუშაობს სამთოსოთხილამურეთა ბანაკი, რომელიც სოფ. ელიზოვოს სპორტსმენებმა შექმნეს. მთაზე მუშაობს ორი ამწე, საბაგირო გზის საერთო სიგრძე 750 მეტრია. აქ ვარჯიშობენ ბავშვთა სპორტული სკოლისა და „შრომითი რეზერვების" ელიზოვოს სამთოსათხილამურო სკოლის აღსაზრდელები. ამ ზაფხულს ბანაკი პეტროპავლოვსკის სამთომოთხილამურეებს მასპინძლობს. ახლა აქ ოსტატობას ხვეწს ზამთრის სპორტის 80-ზე მეტი მოყვარული.

მ. ჟილინი.

კამჩატკის ოლქი.

## გმირის ხსოვნას მიეძღვნა

მეტალურგთა ქალაქ ჟდანოვში დამთავრდა მაკარ მაზაის საკავშირო მემორიალი. მოკრივეთა ეს ტრადიციული შეჯიბრება ფაშისტების მიერ ნაწამები გმირი მეფოლადის ხსოვნას ეძღვნება.

ამჯერად საასპარეზოდ 35 ქალაქის სპორტსმენებმა მოიყარეს თავი. შეჯიბრების 172 მონაწილიდან 46 სპორტის ოსტატი იყო. ტურნირი გაიმართა ქარხანა „აზოვსტალის" ახალ მძლეოსნურ მანეჟში, რომელიც საზოგადოებრიობის მონაწილეობით აიგო. ტურნირისთვის საგანგებოდ მოეწყო შესანიშნავი დასაშლელი რინგი.

ი. დიაჩკოვი.

ჟდანოვი.

## მატჩი ეთერში

ნახევარ წელიწადს გაგრძელდა შორეული აღმოსავლეთის ნაოსნობის მოჭადრაკეთა ტრადიციული მასობრივი ტურნირი. ამ ხნის მანძილზე შეჯიბრების მონაწილე 35 ნავმა თითქმის 2000 რადიოგრამა გაუგზავნა ერთმანეთს: რადიოგრამებით სვლებს გადასცემდნენ.

უძლიერესები ფინალში გავიდნენ და იბრძოლებენ გარდამავალი თასისთვის, რომელიც ნაოსნობის მოცურავე შემადგენლობის კომიტეტმა და „ვოდნიკმა" დააწესეს.

ვლადივოსტოკი.

## აუზი სიცივის პოლუსზე

რათა პოლუსზე მთელი წლის განმავლობაში შეიძლებოდეს ცურვა, მუშათა დაბა უსტ-ნერაში ზამთრის საცურაო აუზი შენდება, მაგრამ მშენებლობის დამთავრებამდე ჯერ კიდევ რამდენიმე თვეა: ინდიგირკის ოქროს მაძიებლებმა ისარგებლეს უჩვეულოდ ცხელი ზაფხულით და მთის მდინარის ნაპირას ხელოვნური ღია აუზი მოაწყვეს პიონერთა ბანაკ „გორნიაკისთვის". აუზში კამკამა წყალი დგას, ტემპერატურა კი აქ უფრო მაღალია, ვიდრე ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე.

იაკუტსკი.

## ქალთა სპარტაკიადის ფინიში

თურქმენეთის დედაქალაქში დამთავრდა ქალთა II ახალგაზრდული რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელმაც ყველა ეტაპის სტარტზე 66 ათასზე მეტი მონაწილე გამოიყვანა. ეს მოხდა რესპუბლიკაში, სადაც სულ ნახევარი საუკუნის წინ არც ერთი ფიზკულტურელი ქალი არ იყო. ახლა თურქმენეთში ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ჩაბმულია თითქმის 180 ათასი ქალი. მათ შორისაა ბევრი თანრიგოსანი და სპორტის ოსტატობის კანდიდატიც კი. მარტო წლევანდელი სპარტაკიადის პირველი და მეორე ეტაპების მასობრივ შეჯიბრებებში სათანრიგო ნორმატივები კიდევ 4 ათასზე მეტმა ახალბედამ შეასრულა.

სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები სპორტის 9 სახეობაში ჩატარდა და აშხაბადის წარმომადგენელთა გამარჯვებით დამთავრდა. II ადგილი დაიკავეს ჩარჯოუს სპორტსმენებმა, III — ქალაქ მარის წარმომადგენლებმა. მეორე ჯგუფში გაიმარჯვეს ქალაქ იოლოტანის სპორტსმენებმა.

აშხაბადი.

## ყინულზე ლაშქრობის წინ

შვერტბოტმა „პინგვინმა", რომელიც ნორილსკიდან ტიქსამდე მოგზაურობს სპორტის საპატიო ოსტატის ა. იანცელევიჩის მეთაურობით, ღუზა ჩაუშვა ხატანგის ნავსადგურში. ხატანგის ყურეში ჯერ კიდევ ყინული დევს და ნაოსნობა შეფერხებულია. სანაპიროს გასწვრივ მიაგნეს სუფთა წყლის მხოლოდ ერთ ნაკადს და სპორტსმენები სწორედ მას გაჰყვებიან.

შორი და დამღლელი მოგზაურობის მიუხედავად, „პინგვინი" ცოცხლად და მოხდენილად გამოიყურება. დაქანცული სპორტსმენები დღე-ღამის განმავლობაში წმენდდნენ ნავს და მხოლოდ ამის შემდეგ შევიდნენ ნავსადგურში.

პირველ მდინარეთ გასაყარზე მოგზაურებს 5-მეტრიანი აღმართი შეხვდათ. „პინგვინი" მთლიანად ორ ტონაზე მეტს იწონის და ეს სიმაღლე გადალახა მხოლოდ პორტატული ჯალამბრის დახმარებით, რომლის წონაც 12 კილოგრამია. შემდეგ ესეც ზედმეტი გამოდგა, წინ იყო მხოლოდ ტორფის ბორცვები და ქაობები.

ყინულზე ლაშქრობის წინ სპორტსმენები ხატანგის ყურეში შვერტბოტს შეარემონტებენ და მარაგს შეივსებენ.

ვ. შინკარენკო.

ხატანგა.

# კოლია არჭევანიძე

ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ



ჭიდაობა ჩვენი ეროვნული სიამაყეა. საქართველოში აიდგა ფეხი ბევრმა შესანიშნავმა მოჭიდავემ, რომელთა სახელები მჭუხდა არა მარტო რევოლუციამდელ რუსეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მაგრამ ბევრი სახელოვანი ფალავანი, ამა თუ იმ მიზეზით, დღეს მივიწყებულია, ბევრის სახელი რაღაც შემთხვევის გამო გამორჩა ჩვენს ისტორიას.

აი, ერთ-ერთ ასეთ ფალავანზე უნდა მოგითხროთ ამ პატარა წერილში. კოლია კონსტანტინეს ძე არჭევანიძემ ჭიდაობა გასული საუკუნის მიწურულს დაიწყო. იგი ფიზიკურად ძლიერი, ვაჟკაცური შემართების ახალგაზრდა გახლდათ, რომელიც არასდროს გაურბოდა უფროსებთან შეხვედრას, ბევრს სწავლობდა მათგან, მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას თანატოლებს უზიარებდა.

კოლიას მჭობნი საჩხერის მიდამოებში არავინ იყო. ბავშვობაში იგი ხშირად ჭიდაობდა ამხანაგებთან, იკაფებდა სხეულს, იძენდა ილეთების სწრაფად, თვალშეუვლებლად ჩატარების ჩვევას. შემდეგ წამოიზარდა, გამაგრდა, დავაჟკაცდა და, რა თქმა უნდა, მარტო მშობლიური მიდამოების ასპარეზი აღარ აკმაყოფილებდა.

ახალგაზრდა ფალავანი, რომელიც, ამავე დროს, ჭიდაობის დიდი პოპულარიზატორიც იყო, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მართავს კლასიკური და ქართული ჭიდაობის ოსტატთა შეხვედრებს. მისი თაოსნობით ხშირად მეტად საინტერესო სანახაობები ეწყობოდა. ნელ-ნელა კოლია არჭევანიძის სახელი მთელ საქართველოს მოედო. მას პატივს სცემენ კახეთში, ქართლში, თბილისში... ახალგაზრდა ფალავანი სხვადასხვა დროს დასჭიდებია სანდრო კანდელაკსა და ქურხულს, ჯიბგირსა და ცერაძეს, მედელაურსა და გაბრიჭიძეს, ძმებს ზაზუნაშვილებს, გორელ მამინოვს, თელაველ სიპრაშვილსა და სხვებს.

კოლია არჭევანიძე წარმატებით იბრძოდა იმდროინდელი რუსეთის გამოჩენილ მოჭიდავეებთანაც. როგორც თანამედროვეები იხსენებენ, მას წაქცეული ჰყოლია კლიმენტი ბულიცა და ზაგორუიკოც, კლიმოვიცა და ე. წ. წითელი ნიღაბიც,— ლიტვინოვი, პეტროვი და ბევრი სხვა იმდროინდელი გოლიათიც.

არჭევანიძე ხშირად მოგზაურობდა საზღვარგარეთ და ძალას ცდიდა იქაურ ფალავნებთან. უჭიდავია ირანში, თურქეთში, საფრანგეთში და ბევრი ჯილდოც წამოუღია იქიდან.

სამწუხაროდ, კოლია არჭევანიძემ ადრე დაასრულა ცხოვრება. 49 წლის ვაჟკაცი სრულიად მოულოდნელად გამოესალმა წუთისოფელს. მაგრამ ისიც, რაც მან გააკეთა ჭიდაობის პოპულარიზაციისთვის, საკმარისია, რათა ამ ამაგდარი ადამიანის სახელი სამუდამოდ დარჩეს ეროვნული სპორტის ისტორიაში.

ნ. ახვლედიანი.

* * *

სურათებზე: კოლია არჭევანიძე; ქართველი ფალავანი და რუსი მოჭიდავე ლიტვინოვი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბებერი მსაჯები

ვალერიან ჩიქურიშვილი

ციკლიდან „ჩემი მეზობელი ქისტები"



პანკისში ხმა გავრცელდა — დუისის სკოლაში ვიღაც ბუღაანელი ფშაველი გადმოსულა სასწავლებლად. თურმე ისე კარგად ჭიდაობს, ვისაც ხელი მოჰკიდა, ერთი არ გააჩერა ფეხზეო. მერე წაქცეულთა შორის ისეთებს ასახელებდნენ, რომლებსაც კარგი მოჭიდავის სახელი ჰქონდათ გავარდნილი.

უცხო ჭაბუკის გამოჩენამ უმალვე მიიქცია ქართული ჭიდაობის მოყვარული და პატივისმცემელი ქისტების ყურადღება. ლაპარაკობდნენ: ისე ლამაზად, ფიცხად და ქინიანად ჭიდაობს, გეგონებათ ცეკვავსო.

ქისტი და ფშაველი ქალიშვილები განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს იმ გარემოებას, რომ ბუღაანელი ფშაველი იმოდენა ხალხის თვალწინ შარვალს იხდის და ტრუსების ამარა ჭიდაობსო. მართალია იმ ტრუსების სილამაზესა და უცხოურობასაც აღნიშნავდნენ, მაგრამ ასეთი რამ პანკისის ხინამდვილეში მაინც პირველი და გაუგონარი იყო. ძალიანაც მოსწონდათ ბუღაანელი, ნამდვილ სპორტულ ფორმაში გამოწყობილი, საჭიდაო წრეში მელივით რომ გადახტებოდა, მაგრამ ზოგიერთები მაინც ამბობდნენ, როგორ არა რცხვენიათ. „გამოსული" ახალგაზრდები კი დაბეჯითებით ამტკიცებდნენ — ეგ არაფერი უპატივცემლობა არ არის ჩვენი ქალებისა და უფროსებისა, დღეს პანკისის გარდა ყველგან ასე ჭიდაობენო.

გაკვეთილები რომ დამთავრდებოდა და მოსწავლეები სოფლის მთავარ გზაზე ჩამოივლიდნენ, საჩრდილობელი ცაცხვის ქვეშ საფიხვნოდ ჩამომსხდარი ქისტები კითხულობდნენ, — აბა, დაგვანახეთ, რომელია ის ბუღაანელი ჭაბუკიო.

იმ დროს პანკისელი ქისტი ბიჭები ქართული ჭიდაობის ოსტატებად ითვლებოდნენ. სოფლის თავში დიდი კაკლების ქვეშ ყოველ შაბათ-კვირას იკრიბებოდნენ, ვისაც გული ერჩოდა და ბეჭები ექავებოდა, ყველა ჭიდაობდა.

დუისელ ბიჭებს მოსულთაგანი ჯერ არავინ გაეშვათ წაუქცეველი. ამით ამაყობდნენ კიდეც. და აი, ახლა გამოჩნდა ვიღაც ბუღაანელი ფშაველი, რომელიც აქაურ ბიჭებს დაერია და ერთი არ გააჩერა ფეხზე.

არიან კარგი მოჭიდავეები და არიან საუკეთესოები. რაკი კარგებმა ვერაფერი დააკლეს ბუღაანელს, ჯერი საუკეთესოებზე მიდგა. ქისტის ბიჭები მათ უნდა ეხსნათ სირცხვილისაგან.

არჩევანი ორზე შეჩერდა — დერქიზა ცათიევზე და ხოხია გაურგაშვილზე. პირველი კოლმეურნე იყო, მეორე კავკასიონის მთებში, მთათუშეთის გზის მშენებლობაზე მუშაობდა. მისი პანკისში ჩამოყვანა მთელ რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ დუისელებმა გადაწყვიტეს პირველად დერქიზა გაეყვანათ ბუღაანელის პირისპირ. ხოლო თუ ისიც ვერას გახდებოდა, მაშინ სხვა გამოსავალი არ იყო, ხოხია უნდა ჩამოეყვანათ მთიდან.

ქართული ჭიდაობის ენთუზიასტები საკმაოდ ბევრნი იყვნენ ქისტებში. სოფლის თავში, უზარმაზარი კაკლების ქვეშ, საჭიდაო წრე ახალი ნახერხით გაავსეს. მეზურნეები ერთი კვირით ადრე გააფრთხილეს, კვირას დიდი ჭიდაობა იქნება და არსად წახვიდეთო.

ბუღაანელმა მეორე დღესვე გაიგო ფშაველი ბიჭებისაგან — დუისელები დერქიზა ცათიევს ამზადებენ, კვირას უნდა დაგაჭიდონო. თან ისიც უთხრეს, დერქიზა ძალიან კარგად ჭიდაობსო.

ბუღაანელს ქისტი ბიჭების სპორტული შუღლი არც სწყენია და არც გაჰკვირვებია. პირიქით, გულში უხაროდა კიდეც, მისმა ჭიდაობამ ამოდენა ინტერესი რომ გამოიწვია. მაგრამ დაინტერესდა, რაში გამოიხატებოდა დერქიზას „მზადება".

ფშაველების „დაზვერვამ" უმალვე დაადგინა, რა ხდებოდა მოწინააღმდეგის ბანაკში. თურმე ნუ იტყვით და, დერქიზა ერთი კვირით გაუთავისუფლებიათ მეხრეობიდან. მის მაგიერ მისი ბიძაშვილი მიუძღვებოდა გუთნეულს ბაბურის ახოებში. დერქიზა კი სუფთა ჰაერზე ჩრდილებში კოტრიალში აღამებდა დღეებს, — ჯანსა და ღონეს იკრებდა, რათა გულშემატკივართა იმედები გაემართლებინა.

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, კონტრღონისძიებათა გატარება გახდა საჭირო ფშაველი ბიჭების მხრივ. ეს ღონისძიება ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი თვითონ ლადომ იკისრა. იგი ყოველ დილით ადრიანად დგებოდა და ვარჯიშობდა, სხეულს იკაჟებდა. ღონისძიების მეორე ნაწილი ფშაველმა ბიჭებმა ივალდებულეს. მორიგეობის სია შეადგინეს და საყვარელი ფალავნისათვის ყოველ დილით მიჰქონდათ თაფლწასმული კარაქიანი პურის მოზრდილი ნაჭერი. მაშინ ომი არც ისე დიდი ხნის დამთავრებული იყო და ეს მეორე ღონისძიება საკმაოდ დიდი სიძნელეების გადალახვას მოითხოვდა.

არავინ დაინტერესებულა, ვინ რა საშუალებით ახერხებდა ამას, მთავარი ის იყო, ყველა პირნათლად ასრულებდა დავალებას.

და ეს ამბავი ფრიად საიდუმლოებით იყო მოცული, რათა „მოწინააღმდეგეებს" არ გაეგოთ და მსგავსი რამ მათაც არ მოეფიქრებინათ.

ასე ფარულ მზადებასა და დაძაბულობაში გაიარა მთელმა კვირამ.

ბოლოს და ბოლოს დადგა ნანატრი კვირადღე — მზიანი და ხალისიანი. ფშაველ ბიჭებს უხაროდათ, რომ არ წვიმდა, თორემ კიდევ ერთი კვირა რა გაუძლებდა „ხარკის გადახდას", — ამდენ თაფლსა და კარაქს ვინ მიართმევდათ?

შუადღემდე ჯერ კიდევ კარგა დრო იყო, რომ დიდი კაკლების ქვეშ საჭიდაო წრესთან უამრავი ხალხი მოგროვდა. მოვიდნენ კოშკელი, საკობიანოელი, ხალაწნელი და კაკლიანელი ფშავლები; დუისელი, ჯოყოლოელი, ომალოელი ქისტები; დუმასტურელი, წინუბნელი და ქორეთელი ოსები; ბირკიანელი თუშები.

ჩრდილში ხოხბებივით იდგნენ სააკადღეო ტანსაცმელში გამოწყობილი ქალიშვილები, წიწილებივით ირეოდნენ და ქიჟქიჟებდნენ ბავშვები, ყვინჩილებივით ძიძგილაობდნენ თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭები...

ცოტა მოგვიანებით მოვიდა ინტელიგენცია — მასწავლებლები, ექიმები, ბიბლიოთეკარები, საქმეთა მმართველები, ბრიგადირები, ბუღალტრები, მოანგარიშეები.

ასპარეზობის სახილველად მოვიდნენ სამართლის მოყვარული, ვაჟკაცობის დიდი პატივისმცემელი ფაფახიანი ქისტი ბერიკაცები. მათს მოსვლაზე დიდი და პატარა ფეხზე წამოდგა, საპატიო ადგილი შესთავაზეს. არწივებივით დასხდნენ წინა რიგში.

მოვიდნენ დამკვრელები.

ცოტა ხნის შემდეგ ორი-სამი ბიჭის თანხლებით მოვიდა დერქიზა ცათიევი. მას ხელში პატარა დანა ეჭირა და გასართობად ჩხირს თლიდა უდარდელი კაცივით.

ბუღაანელი კი ჯერ არ ჩანდა.

ჭიდაობის თაყვანისცემებმა ბალღები აფრინეს, — ეგებ სადმე მონახოთო. მაგრამ ვიდრე მალემსრბოლები მობრუნდებოდნენ, ხის ტოტებში წამოსკუპებული ბიჭი აყვირდა — მოდის, მოდისო!

დიდმა და პატარამ გზისკენ იბრუნა პირი. ვინც არ იცნობდა, ყველას აინტერესებდა მისი დანახვა.

— მომავალ კვირას ვეჭიდავები, წამაქცევს და ალალი იყოს.

დერქიზამ ეს რომ გაიგო, კინაღამ გადაირია. მთელი კვირა ამ დღისთვის ემზადებოდა, ახლა კი — უარი. კიდევ ერთი კვირა ვინ იმუშავებდა გუთანზე მის მაგიერ?!

ბერიკაცებიდან ერთი წამოდგა და ბუღაანელთან მივიდა

— იჭიდავე შვილო, ჩვენ თქვენი ჭიდაობის სანახავად მოვედით. ჩემი ხათრით იჭიდავე!

ბუღაანელს შერცხვა, მისმა ხუმრობამ ბერიკაცი რომ შეაწუხა. კი ბატონო, კი ბატონოო, იმ წამსვე წამოხტა და გახდა დაიწყო.



გ. იაშვილის ნახატი.

ასპარეზობის თაყვანისცემებმა უმალვე მოიწვიეს ბუღაანელი, მოჭიდავე ბიჭებმა აქეთ-იქით ჩაიწიეს და შუაში ჩაისვეს.

ფშაველების ფალავანმა წინა რიგში ჩამომსხდარი ბერიკაცები ჩამოათვალიერა. ისინი მისკენ იყურებოდნენ და ქისტურად რაღაცას ეუბნებოდნენ ერთმანეთს.

ჩაბერეს ზურნას.

ჯერ საზეიმო დაუკრეს, მერე საჭიდაო.

ისე ჟინისმომგვრელად გუგუნებდა დოლი, ქურდღელს ლომს დააჭიდებდა.

პირველად მერცხლის კვერცხივით სახედაჭორფლილი დუმასტურელი ოსის ბიჭი გადმოუყვანეს ჯოყოლოელ ქისტის ბიჭს. შუამავალმა მსაჯმა მოჭიდავეთა გვარები გამოაცხადა, დამკვრელებმა დასცხეს და გადაირია ოსის ბიჭი. ტრადიციული ხელის ჩამორთმევის მაგიერ ჩოხაში ეცა ჯოყოლოელს და კინაღამ კისრულზე გადაიტანა.

ხალხს გაეცინა.

ჯოყოლოელი გაჯავრდა — ვინაა ეს გადარეულიო.

ოსი ტყიურივით ხან ეკვეთებოდა, ხან ხელიდან გაუსხლტებოდა და მერე საშველი აღარ დაადგებოდა მის დაჭერას. ფეთიანივით აწყდებოდა აქეთ-იქით. ბიჭები სიცილით იხოცებოდნენ, ეს რა კარგი ვიღაცა ყოფილაო.

ჯოყოლოელმა ბოლოს მაინც ჩაიგდო ხელში. დაიჭირა და გაჯავრებულმა დაქაჩა, დაითრია, დაჭმუჭნა, დააბნია, მერე ნაცრის ტომარასავით წამოიკიდა და ბეჭებით დასცა.

კიდევ რამდენიმე წყვილმა იჭიდავა. მერე ბიჭები ბუღაანელს მიადგნენ, დერქიზა დაანახეს, — აგერ, იმ ბიჭს უნდა ეჭიდოო.

— დღეს მე არ ვიჭიდავებ, — გულგრილად თქვა ფშავლების ფალავანმა.

— რას ამბობ, კაცო! — გულზე შემოენთოთ დუისელებს.

— რა გაგიკვირდათ, არა ვარ ხასიათზე და არ ვიჭიდავებ.

— დერქიზა ამბობს, წავაქცევო.

ბერიკაცს ძალიან გაეხარდა მის ერთ სიტყვას რომ ამოდენა პატივი დასდო ფშაველმა ჭაბუკმა. ნასიამოვნები, გაბადრული სახით დაბრუნდა „ბებერ არწივებთან" და თავის ადგილას ჩაჯდა.

ბუღაანელმა სწრაფად ჩაიცვა ჩოხა და წრეში ვეფხვივით გადახტა. დერქიზამ ვერ ჩაიცვა ისე სწრაფად. მეზურნეებმა ბუღაანელის პატივსაცემად „შამილის მარში" დაუკრეს. მედოლე ისე გამეტებით ურტყამდა დოლს, თითქოს ამით ამბობდა: ახლა უყურეთ, რა ჭიდაობა იქნებაო.

ფშავლების ფალავანმა დერქიზას დაკუნთულ მკლავებს თვალი რომ შეავლო, ცოტა არ იყოს შიში ჩაუდგა გულში, ვაი თუ მართლა წამაქციოსო. არ უნდოდა ენერგიულა, მაგრამ „შამილის მარში" არ აძლევდა საშველს.

დერქიზა წრეში რომ გადავიდა ხმაური შეწყდა.

დადუმდა ზურნაც.

ხალხი სპორტული ინტერესით დაიძაბა.

„დღეს თუ შემდეგისთვის? დღეს თუ შემდეგისთვის? — ბუღაანელი საკუთარ გულს ეკითხებოდა. რომ სცოდნოდა, სხვა ფანდებითაც გავიდოდა იოლას, მაშინ „ცაციურს" შემდეგისთვის შემოინახავდა. მაგრამ დერქიზას მხარბეჭს რომ უყურებდა, გრძნობდა, მასთან ჭიდაობა იოლი არ იქნებოდა. ამისთანა ჯანიანი ბიჭი თუ ვეფხვივით სწრაფიც არის, მაშინ...

მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ ბუღაანელის ძირითადი იარაღი მარჯვენა მოგვერდი და გარეხელი იყო. მაგრამ არავინ იცოდა, რომ იგი უფრო ძლიერი იყო მარცხენა მოგვერდითა და გარეხელით. ამ საიდუმლოებას „ცაციურს" ეძახდა ფშავლების ფალავანი და გაჭირვების დღისთვის ინახავდა, დღეს კი...

გადაწყდა! დღეს დერქიზა უნდა შეეწიროს „ცაციურის" გამჟღავნებას.

შუამავალმა მსაჯმა მეტოქეთა ვინაობა გამოაცხადა, თუმცა ეს უკვე აღარ იყო საჭირო.

დამკვრელებმა ზავთიანი საჭიდაო დასცხეს. ზურნის კივილი და დოლის გუგუნი ერთმანეთისაკენ აქეზებდა მეტოქეებს.

ბუღაანელმა ხელი ჩამოართვა შუბლშეკრულ დერქიზას, გასცდა, მერე შემოტრიალდა და ისე წამოვიდა, თითქოს თავიდანვე ცდილობდა მარჯვნივ მისულიყო. დერქიზამ „თავი დაიზღვია", მარჯვნივ არ მიუშვა. მარცხნივ, კი ბატონო, მარცხნივ თავის ნებაზე მოდიო. ბუღაანელსაც ეს უნდოდა, სწვდა ჩოხაში, მარცხენა თეძო მიუგდო, გადმოსწია და...

მაყურებელთა აღტაცების შეძახილი ცაში აიჭრა.

ზურნას ხეირიანად არც ჰქონდა დაწყებული საჭიდაო, რომ საზეიმოზე გადავიდა. აღტაცებული მედოლე ისე სცემდა დოლს, თითქოს მისი გახეთქა უნდაო.

წინა რიგში მსხდარმა ბებერმა არწივებმა ტაში დაუკრეს. თვალებგაბრწყინებულნი აღტაცებით გაიძახოდნენ:

— ჰაი, ბარაქალ, ვოუ, ბარაქალ! ბაყდა, მა დიკ ლეთელიმ*!

ღვთის წინაშე, დერქიზა კი ელოდა მარცხს, მაგრამ ასე გაუთვალისწინებელს და ისიც ერთ წამში — არა. იგი ყოველთვის კარგად ჭიდაობდა, ხალხს ამის გამო უყვარდა. ახლა კი ასე უბრძოლველად, თავისი შესაძლებლობების უცდელად აკრიფა ნახერხი.

— ეგ არ ითვლება, არ ითვლება! კაცს ჯერ ხელი არა ჰქონდა მოკიდებული, — დაიძახა ვიღაცამ.

— ჰო, არ ითვლება, კიდევ იჭიდაონ, კიდევ!

ამ წამოძახილებმა სასტიკად აღაშფოთა ქისტი ბერიკაცები. მერე ერთი მათგანი წამოხტა და წრეში გადავიდა. ხალხს გოროზად მოავლო მზერა:

— ვინ ამბობს, არ ითვლებაო, ვინ?

— ხელის მოკიდება ვერ მოასწრო! — დაიძახა ვიღაცამ.

— მერე რაღას ელოდებოდა, წაევლო ხელი, — გაჯავრებული ბერიკაცი იქით შეტრიალდა, საიდანაც დაიძახეს.

— ხელახლა იჭიდაონ ხელახლა! — ისევ გაიძახოდა ვიღაც ხალხში ჩამალული.

— რა გინდათ, რა? ამ კაცის ძალად წაქცევა? მაშინ გამოიტანეთ თოფი, ესროლეთ და წაიქცევა!

არც ერთს აღარ ამოუღია ხმა.

ბერიკაცი მიბრუნდა და თავის ადგილას დაჯდა.

მსაჯები შეიკრიბნენ. დიდხანს მსჯელობდნენ. ბოლოს გამოაცხადეს: თოთხმეტ წამში გაიმარჯვა ბუღაანელმაო.

დაფაზურნამ ისევ საზეიმო დაუკრა.

ორი კვირის შემდეგ იმავე კაკლების ქვეშ კვლავ გაიმართა დიდი ჭიდაობა. ამჯერად პანკისელები ხოხიასა და ბუღაანელის ჭიდაობის საყურებლად მოსულიყვნენ.

შეიბნენ და უმალვე გაჩუმდა ზურნა.

ბუღაანელი რომ წამოდგა, ორივე ბეჭზე აჰყვა ნახერხი. ბებერი არწივები აღტაცების ნიშნად ტაშს ახლაც უკრავდნენ. სხვათა შორის, გამარჯვებულს ფშაველი ბერიკაცებიც უკრავდნენ ტაშს.

მჯობნის მჯობნი არ დაილევაო, ამბობდნენ ისინი. რამდენიმე დღის შემდეგ კი ვიღაცამ ხმა გაავრცელა, — ხოხია ერთი ფუთით მძიმე ყოფილა ბუღაანელზეო. მიდით და დაამტკიცეთ, მართლა ასე იყო თუ არა. მაშინ პანკისში მოჭიდავეებს არავინ წონიდა, თვალის ზომით არჩევდნენ წყვილებს.

---

* ჰაი ყოჩაღ, ვაჟკაცო, ყოჩაღ! ძალიან კარგად ჭიდაობ!

# გატყდა სპორტული ყამირი

თიანეთში სპორტული ცხოვრება კარგა ხანს მიძინებული იყო. სპორტული ბაზების სავალალო მდგომარეობა ასპარეზს უხშობდა ახალგაზრდებს, — შეჯიბრებები ვერ ტარდებოდა. გამიშვლებული, შემოუღობავი სტადიონი უბადრუკად გამოიყურებოდა. დაიშალა ადრე შექმნილი გუნდები.

ყოველივე ეს თითოეული თიანეთელისთვის დიდად გულსატკენი და დამაფიქრებელი გახდა.

საქართველოს ალკკ თიანეთის რაიკომის მეორე მდივანი ვ. ფიცხელაური გულმოდგინედ ჩაუდგა სათავეში სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისთვის ბრძოლას. ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარესთან ერთად მან გულდასმით შეისწავლა ყველა შესაძლებლობა და პირადად მოჰკიდა ხელი ბაზების კეთილმოწყობას. დილიდან გვიან საღამომდე ხან დაბის სტადიონზე მუშაობდა, ხან სოფლებში რაზმავდა ახალგაზრდებს, ასწავლიდა და მერე დავალების შესრულებას მოითხოვდა.

მალე ფიცხელაურს მხარში ამოუდგნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის თანამშრომლები და სტუდენტები. ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა კეთილშობილური მისია მიანდო მათ — თეორიული და პრაქტიკული დახმარება გაეწიათ თიანეთელი სპორტსმენებისთვის. ისინი შეხვდნენ დაბისა და სოფლის ახალგაზრდებს, წაიკითხეს საინტერესო ლექციები, უჩვენეს დოკუმენტური ფილმები... სტუმრები მარტო ზეპირი პროპაგანდით არ დაკმაყოფილებულან: ისინი პრაქტიკულადაც ჩაებნენ სპორტულ საქმიანობაში.

ერთი თვის განმავლობაში მათ მთავარ მიზანს მიაღწიეს: თიანეთის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში დანერგეს საწარმოო ტანვარჯიში. ფიზკულტურის რაიონულ კომიტეტში შედგა შეჯიბრებათა დებულებები, კვლავ აღსდგა ფეხბურთელთა და სხვა ნაკრები გუნდები, მეთოდური დახმარება გაეწიათ მწვრთნელებს, მოეწყო შეჯიბრებები და ა. შ.

დაბის სტადიონის კეთილმოსაწყობად კომკავშირის რაიონულმა ორგანიზაციამ შაბათობა მოაწყო. აქტივისტებმა გაწმინდეს და გაასუფთავეს სტადიონის ტერიტორია, მისი შემოგარენი. სტადიონზე კვლავ გაჩნდა საჭიდაო მოედანი, სახტომი ორმოები, მოეწყო ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის მოედნები.

ვაჟაობის დღესასწაულზე გაიმართა ტრადიციული ჭიდაობა. გამოვლინდნენ ახალი ფალავნები. მალე ისინი მონაწილეობას მიიღებენ რაიონის პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაში. თიანეთის ფეხბურთელთა გუნდი „იორი" ზონალურ პირველობაში ჩაება.

საერთო მეცადინეობამ კარგი ნაყოფი გამოიღო: გატყდა თიანეთში სპორტული ყამირი. ასპარეზზე ახალგაზრდები არიან.

ე. თარიმანიშვილი,
გაზეთ „ახალი თიანეთის" პასუხისმგებელი მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი 1970

## სსრ კავშირის პირველობა

# აგვისტოს კალენდარი

### უმაღლესი ჯგუფი — კლასი „ა“

3. „სპარტაკი“ მ. — ცსკა, „დინამო“ კ. — „დინამო“ მ., „დინამო“ თბ. — „ნევთჩი“, „დინამო“ მნ. — „ჩერნომორეცი“, „შახტიორი“ — „ზენიტი“, „ზარია“ — ასკ რ., „ფახთაქორი“ — „სპარტაკი“ ორ., „არარატი“ — „ტორპედო“ ქ.

8. სსრ კავშირის თასის ფინალი.

13. „ტორპედო“ მ. — „ფახთაქორი“, „ზარია“ — „დინამო“ მ., „დინამო“ თბ. — „შახტიორი“, „დინამო“ კ. — „სპარტაკი“ მ., „ნევთჩი“ — ასკ რ., „დინამო“ მნ. — „არარატი“, „ტორპედო“ ქ. — „სპარტაკი“ ორ., „ჩერნომორეცი“ — ცსკა.

17. „სპარტაკი“ მ. — „ზენიტი“, „დინამო“ კ. — „ზარია“, „ნევთჩი“ — „სპარტაკი“ ორ., „დინამო“ მნ. — „დინამო“ მ., „შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“, ასკ რ. — „ტორპედო“ მ., „ფახთაქორი“ — „დინამო“ თბ., „არარატი“ — ცსკა.

25. ცსკა — „ტორპედო“ მ., „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ თბ., ასკ რ. — „ზენიტი“, „ტორპედო“ ქ. — „შახტიორი“, „ფახთაქორი“ — „ზარია“, „არარატი“ — „დინამო“ კ. „სპარტაკი“ ორ. — „დინამო“ მნ.

30. „შახტიორი“ — „დინამო“ მნ., „დინამო“ თბ. — „არარატი“, ცსკა — „დინამო“ მ., „ნევთჩი“ — „დინამო“ კ., „ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“ ორ., „ტორპედო“ ქ. — „ზენიტი“, „ფახთაქორი“ — ასკ რ.

31. „ტორპედო“ მ. — „სპარტაკი“ მ.

### I ჯგუფი — კლასი „ა“

5. „კარპატი“ (ლვოვი) — „ვოლგარი“ (ასტრახანი), „მოლდოვა“ (კიშინიოვი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი), „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „პამირი“ (დუშანბე), „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი), „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ალგა“ (ფრუნზე), ასკ (კიევი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო), „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი), „დაუგავა“ (რიგა) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „დინამო“ (ლენინგრადი) — „ყაირათი“ (ალმა-ათა), „რუბინი“ (ხარკოვი) — ასკ (ხაბაროვსკი), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა).

9. „დნეპრი“ — „ვოლგარი“, „კარპატი“ — „მოლდოვა“, „ლოკომოტივი“ თბ. — „ალგა“, „ყუბანი“ — „პამირი“, „მეტალისტი“ — „სტროიტელი“, ასკ კ. — „ლოკომოტივი“ მ., „ჟალგირისი“ — „ტექსტილშჩიკი“, „დაუგავა“ — „კრ. სოვეტოვი“, „დინამო“ ლ. — „შახტიორი“, „რუბინი“ — „ყაირათი“, „ურალმაში“ — ასკ ხ.

16. „სტროიტელი“ — „დნეპრი“, „პამირი“ — „კარპატი“, „ალგა“ — „მოლდოვა“, „კრ. სოვეტოვი“ — „ლოკომოტივი“ თბ., „ტექსტილშჩიკი“ — „ყუბანი“, „ლოკომოტივი“ მ. — „მეტალისტი“, ასკ ხ. — „ჟალგირისი“, „ყაირათი“ — ასკ კ., „შახტიორი“ — „დაუგავა“, „რუბინი“ — „დინამო“ ლ., „ვოლგარი“ — „ურალმაში“.

20. „სტროიტელი“ — „კარპატი“, „პამირი“ — „მოლდოვა“, „ალგა“ — „დნეპრი“, „კრ. სოვეტოვი“ — „მეტალისტი“, „ტექსტილშჩიკი“ — „ლოკომოტივი“ თბ., „ლოკომოტივი“ მ. — „ყუბანი“, ასკ ხ. — ასკ კ., „ყაირათი“ — „დაუგავა“, „შახტიორი“ — „ჟალგირისი“, „დინამო“ ლ. — „ურალმაში“, „ვოლგარი“ — „რუბინი“.

24. „სტროიტელი“ — „მოლდოვა“, „პამირი“ — „დნეპრი“, „ალგა“ — „კარპატი“, „კრ. სოვეტოვი“ — „ყუბანი“, „ტექსტილშჩიკი“ — „მეტალისტი“, „ლოკომოტივი“ მ. — „ლოკომოტივი“ თბ., ასკ ხ. — „დაუგავა“, „ყაირათი“ — „ჟალგირისი“, „შახტიორი“ — ასკ კ., „ურალმაში“ „რუბინი“, „ვოლგარი“ — „დინამო“ ლ.

31. „პამირი“ — „ვოლგარი“, „ალგა“ — „სტროიტელი“, „დნეპრი“ — „ტექსტილშჩიკი“, „კარპატი“ — „ლოკომოტივი“ მ., „მოლდოვა“ — „კრ. სოვეტოვი“, „ლოკომოტივი“ თბ. — „ყაირათი“, „ყუბანი“ — ასკ ხ., „მეტალისტი“ — „შახტიორი“, ასკ კ. — „ურალმაში“, „ჟალგირისი“ — „დინამო“ ლ. „დაუგავა“ — „რუბინი“.

### II ჯგუფი — კლასი „ა“

II ზონა

5. „დინამო“ (მახაჩყალა) — „დილა“ (გორი), „ფოლადი“ (სუმგაითი) — „დინამო“ (ბათუმი), „დინამო“ (კიროვაბადი) — „შირაკი“ (ლენინაკანი), „სტალი“ (ვოლგოგრადი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი), „დინამო“ (სტავროპოლი) — „ტრუდი“ (ვორონეჟი), „ტორპედო“ (ტაგანროგი) — „სალუტი“ (ბელგოროდი), „ლოკომოტივი“ (კალუგა) — „შინიკი“ (იაროსლავლი), „დინამო“ (ბრიანსკი) — „ვოლგა“ (კალინინი), „მეტალურგი“ (ტულა) — „სატურნი“ (რიბინსკი), „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „მაშუკი“ (პიატიგორსკი), „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) — „ვოლგა“ (გორკი).

9. „დინამო“ მხ. — „შირაკი“, „ფოლადი“ — „დილა“, „დინამო“ კრ. — „დინამო“ ბთ., „სტალი“ — „სალუტი“, „დინამო“ სტ. — „მეტალურგი“ ლპ., „ტორპედო“ — „ტრუდი“, „ლოკომოტივი“ — „სატურნი“, „დინამო“ ბრ. — „შინიკი“, „მეტალურგი“ ტლ., — „ვოლგა“ კლ. „დრუჟბა“ — „ვოლგა“ გ., „მაშუკი“ — „ავტომობილისტი“.

16. „ვოლგა“ კლ., — „ტორპედო“, „შინიკი“ — „სტალი“, „სატურნი“ — „დინამო“ სტ., „ტრუდი“ — „დინამო“ მხ., „მეტალურგი“ ლპ, — „დინამო“ კრ., „სალუტი“ — „ფოლადი“, „დინამო“ ბთ. — „დრუჟბა“, „დილა“ — „ავტომობილისტი“, „შირაკი“ — „მაშუკი“, „ვოლგა“ გ. — „ლოკომოტივი“, „მეტალურგი“ ტლ. — „დინამო“ ბრ.

20. „ვოლგა“ კლ. — „დინამო“ სტ., „შინიკი“ — „ტორპედო“, „სატურნი“ — „სტალი“, „ტრუდი“ — „ფოლადი“, „მეტალურგი“ ლპ. — „დინამო“ მხ., „სალუტი“ — „დინამო“ კრ., „დინამო“ ბთ. — „მაშუკი“, „დილა“ — „დრუჟბა“, „შირაკი“ — „ავტომობილისტი“, „ვოლგა“ გ. — „დინამო“ ბრ., „ლოკომოტივი“ — „მეტალურგი“ ტლ.

24. „ვოლგა“ კლ. — „სტალი“, „შინიკი“ — „დინამო“ სტ., „სატურნი“ — „ტორპედო“, „ტრუდი“ — „დინამო“ კრ., „მეტალურგი“ ლპ. — „ფოლადი“, „სალუტი“ — „დინამო“ მხ., „დინამო“ ბთ. — „ავტომობილისტი“, „დილა“ — „მაშუკი“, „შირაკი“ — „დრუჟბა“, „ვოლგა“ გ. — „მეტალურგი“ ტლ., „დინამო“ ბრ. — „ლოკომოტივი“.

31. „დინამო“ მხ. — „შინიკი“, „ფოლადი“ — სატურნი“, „დინამო“ კრ. — „ვოლგა“, „სტალი“ — „მეტალურგი“ ტლ., „დინამო“ სტ. — „დინამო“ ბრ., „ტორპედო“ — „ლოკომოტივი“, „დრუჟბა“ — „ტრუდი“, „მაშუკი“ — „სალუტი“, „ავტომობილისტი“ — „მეტალურგი“ ლპ., „დინამო“ ბთ. — „ვოლგა“ გ., „შირაკი“ — „დილა“.

### „ბ“ კლასი

II ზონის, I ქვეჯგუფი

7. „კოლხეთი“ (ფოთი) — „მეშახტე“ (ტყიბული), „გურია“ (ლანჩხუთი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი), „მერცხალი“ (მახარაძე) — „სულორი“ (ვანი), „მეტალურგი“ (რუსთავი) — „პროგრესი“ (კამენსკ-შახტინსკი), „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ორბიტა“ (ბელაია კალიტვა), „კახეთი“ (თელავი) — „მეტალურგი“ (კრასნი სულინი), „ტორპედო“ (ვოსკი) — „სპარტაკი“ (რიაზანი), „დინამო“ (სოხუმი) — „სპარტაკი“ (ტამბოვი), „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „სპარტაკი“ (სარანსკი).

11. „მერცხალი“ — „მეშახტე“, „კოლხეთი“ — „სპარტაკი“ ცხ., „გურია“ — „სულორი“, „კახეთი“ — „პროგრესი“, „მეტალურგი“ რ. — „ორბიტა“, „ალაზანი“ — „მეტალურგი“ კს., „ცემენტი“ — „სპარტაკი“ რზ., „ტორპედო“ — „სპარტაკი“ ტმ., „დინამო“ ს. — „სპარტაკი“ სრ.

15. „გურია“ — „მეშახტე“, „მერცხალი“ — „სპარტაკი“ ცხ., „კოლხეთი“ — „სულორი“, „ალაზანი“ — „პროგრესი“, „კახეთი“ — „ორბიტა“, „მეტალურგი“ რ. — „მეტალურგი“ კს., „დინამო“ ს. — „სპარტაკი“ რზ., „ცემენტი“ — „სპარტაკი“ ტმ., „ტორპედო“ — „სპარტაკი“ სრ.

22. „სპარტაკი“ სრ. — „მეტალურგი“ რ., „სპარტაკი“ ტმ. — „კახეთი“, „სპარტაკი“ რზ. — „ალაზანი“, „პროგრესი“ — „კოლხეთი“, „მეტალურგი“ კს. — „მერცხალი“, „ორბიტა“ — „გურია“, „მეშახტე“ — „ტორპედო“, „სულორი“ — „ცემენტი“, „სპარტაკი“ ცხ. — „დინამო“ ს.

26. „სპარტაკი“ რზ. — „მეტალურგი“ რ., „სპარტაკი“ სრ. — „კახეთი“, „სპარტაკი“ ტმ. — „ალაზანი“, „ორბიტა“ — „კოლხეთი“, „პროგრესი“ — „მერცხალი“, „მეტალურგი“ კს. — „გურია“, „სპარტაკი“ ცხ. — „ტორპედო“, „მეშახტე“ — „ცემენტი“, „სულორი“ — „დინამო“ ს.

30. „სპარტაკი“ ტმ. — „მეტალურგი“ რ., „სპარტაკი“ რზ. — „კახეთი“, „სპარტაკი“ სრ. — „ალაზანი“, „მეტალურგი“ კს. — „კოლხეთი“, „ორბიტა“ — „მერცხალი“, „პროგრესი“ — „გურია“, „სულორი“ — „ტორპედო“, „სპარტაკი“ ცხ. — „ცემენტი“, „მეშახტე“ — „დინამო“ ს.

## ითამაშებს „კარპატი“

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ 81 ივლისს ფეხბურთის ასოციაციათა ევროპის კავშირის საშტაბო ბინის მისამართით ჟენევაში გაგზავნა განაცხადი იმის თაობაზე, რომ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ჩვენი ქვეყნიდან მონაწილეობას მიიღებს ლვოვის „კარპატი“.

ლვოველთა მეტოქე მეთექვსმეტედფინალში იქნება რუმინეთის თასის მფლობელი — ბუქარესტის „სტიაუა“, რომელმაც ამ რამდენიმე დღის წინ მოიპოვა ეს პრიზი.

## ვ. პროსკურინი — „სპარტაკში“

იმასთან დაკავშირებით, რომ ფეხბურთის ასოციაციათა ევროპის კავშირის დადგენილებით მოთამაშეთა ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლა ნებადართულია 15 აგვისტომდე, ესე იგი უძლიერესი საკლუბო გუნდების ევროპულ გათამაშებათა დაწყებამდე 1 თვით ადრე, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა გაითვალისწინა პროფკავშირული და სპორტული ორგანიზაციების თხოვნა და დააკმაყოფილა საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული ვ. პროსკურინის (ასკ, როსტოვი) განცხადება — ითამაშოს მოსკოვის „სპარტაკში“, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მონაწილე გუნდში.



მოტომრბოლელთა შეჯიბრების დროს ჩვეულებრივი მაყურებელი მხოლოდ ლამაზ, საინტერესო სანახაობას ხედავს, სპორტსმენთა სიმარჯვითა და ძალით ტკბება. თვითონ სპორტსმენებისთვის კი ესაა შეუპოვარი ბრძოლა, სადაც ყველა გაუთვალისწინებელ შემთხვევას თუ წინასწარ განსაზღვრულ წვრილმანს თავისი მნიშვნელობა აქვს. ამ სურათზე თქვენ ხედავთ 20 წლის ბენგ არნე ბონს შვეციის ჩემპიონატში ასპარეზობის დროს. ბენგ არნეს, მაგალითად, ფხვიერი გრუნტი უყვარს და ახლაც თამამად გრძნობს თავს, სხვებს კი ასეთ გრუნტზე რბოლა ძალიან ეჯავრებათ.

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

# ციფრები და ფაქტები

✦ წლევანდელი საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ წრეში უპირატესობა მასპინძლების მხარეზე იყო: მათ 65 შეხვედრა მოიგეს, ფრედ დაამთავრეს 45 და 26 წააგეს; გაიტანეს 170 და გაუშვეს 101 გოლი.

✦ ყველაზე მეტი ბურთი გავიდა X ტურში — 23, ყველაზე ნაკლები — V ტურში — 7.

✦ ყველაზე დიდ წარმატებას მასპინძლებმა XVI ტურში მიაღწიეს, როცა 14 ქულა მოიპოვეს და მხოლოდ 2 დაკარგეს. სტუმრებს მაქსიმალური წარმატება X ტურში ჰქონდათ — მასპინძლებს 16-დან 11 ქულა აართვეს.

✦ მხოლოდ სამ გუნდს არ მოუგია არც ერთი შეხვედრა სხვის მინდორზე: თბილისის „დინამოს“, „ნევთჩის“ და „ჩერნომორეცს“.

✦ თბილისში ჩატარებულ 9 შეხვედრაში დინამოელებმა მეტოქეთა კარში 18 ბურთი გაიტანეს (14 — სამხრეთის კარში, 4 — ჩრდილოეთისაში), საკუთრივ კი ორივე კარში თითო გოლი გაუშვეს (მინსკელებთან და კიეველებთან).

✦ აღსანიშნავია, რომ ვერც ერთმა ფეხბურთელმა ვერ შეძლო პირველ წრეში „ლოკომოტივის“ სტადიონის (თბილისი) ჩრდილოეთის კარში ერთ გოლზე მეტის გატანა.

✦ ჭერჭერობით თბილისში დინამოელებს პირველ ტაიმში გოლი არ გაუშვიათ.

✦ მხოლოდ 1 მატჩი მოიგეს შინ როსტოვის არმიელებმა და ისიც — თბილისის დინამოელებთან.

✦ მხოლოდ თითო გოლის გატანა შეძლეს პირველ წრეში თავდამსხმელებმა ფეტისოვმა (ასკ, როსტოვი), ადამოვმა (მინსკის „დინამო“), მოზღუხინმა (ორჯონიკიძის „სპარტაკი“) და ნახევარმცველმა ბონდარენკომ („არარატი“). ყველამ — თბილისის „დინამოს“ კარში.

✦ თბილისელთაგან პირველი წრის ყველა შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს პეტრიაშვილმა, ხინჩაგაშვილმა და ლ. ნოდიამ; ქუთაისის „ტორპედოდან“ — ვეკუამ და წვერავამ.

გ. მაღუაშვილი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „ისნის“ სტადიონი. დღეს: საქართველოს პირველობა. „ისანი“ (თბილისი) — „სქური“ (წალენჯიხა). დასაწყისი 18 ს.

კალათბურთი. სპორტის სასახლე. ხვალ: სსრ კავშირის პირველობა. „დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი). დასაწყისი 18 ს.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ფეხბურთი 1970

3 აგვისტო
სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ჯგუფი — კლასი „ა“

„დინამო“ (თბილისი) — „ნევთჩი“ (ბაქო)
ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 20 ს.